სარეკლამო-საინფორმაციო ბიულეტენი № 3 სექტემბერი, 2017 წ.

აკადემიის მაცნე

ელ-ფოსტა:
acad.as@gaas.dsl.ge
conference.gaas@yahoo.com
ვებ-საიტი:
www.gaas.dsl.ge

თბილისი, 0102, ივანე ჯავახიშვილის ქ. №51 ტ. 2-94-13-20

ცვალე ან უნდა ჰგავდეს დღევანდელს, თუ კაცს პატივსა,
წინსვლა ადამიანსა თურ სიფცქვად ან მიაჩნია
ილია ჭავჭავაძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოში

გაზეთი "აკადემიის მაცნე", რომელიც გამოდის კვარტალში ერთხელ, სისტემატიურად აშუქებს აკადემიის საქმიანობას, აკადემიური საბჭოს სხდომაზე განხილულ ცალკეულ მნიშვნელოვან საკითხებს, თანამედროვე საინტერესო მოვლენებსა და მათდამი მიდგომებს, მოწინავე გამოცდილებასა და ტექნოლოგიებს და სხვ. გაზეთში ასევე ყურადღება ეთმობა საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივებს.

ამგვარად გაზეთის ფურცლებზე შუქდება აკადემიის აკადემიური საბჭოს მოკლე ანგარიში ყოველ კვარტალში ჩატარებული საქმიანობის შესახებ. ვფიქრობთ იგი კარგი სარეკლამო – საინფორმაციო საშუალებაა აკადემიის საქმიანობის ობიექტურად შეფასებისათვის.

მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი - 2017

2017 წლის 24 სექტემბერს ქ. თბილისის რიყის პარკში საზეიმოდ გაიხსნა "მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი -2017". ფესტივალის მონაწილეებს მიესალმა ვიცე-პრემიერი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი - ალექსანდრე ჯეჯელავა; თბილისის მერი დავით ნარმანია; საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გენადი მარგველაშვილი; შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი მანანა მიქაბერიძე.

ფესტივალის სტუმრებმა დაათვალიერეს რიყის პარკში სხვადასხვა სამეცნიერო და საგანმანათლებლო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი საგამოფენო სტენდები და ექსპონატები; სტუმრები ეწვიენ აგრეთვე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ მოწყობილ გამოფენას, სადაც წარმოდგენილი იყო აკადემიის ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შექმნილი ინტელექტუარული პროდუქცია. მინისტრის გარდა აკადემიის საგამოფენო სტენდები დაათვალიერეს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეებმა ქ. ნატრიაშვილმა, ლ. გიგაურმა და თ. მარსაგიშვილმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წარმომადგენლებმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა აკად. ა. ფრანგიშვილმა, ქუთაისის ა. წერეთლის უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. გ. ღავთაძემ, ფესტივალის სხვა სტუმრებმა - მეცნიერებმა, სტუდენტებმა, სკოლის მოსწავლეებმა და სხვა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ ფესტივალზე წარმოადგინა აკადემიის ნამდვილი წევრების და წევრ-კორესპონდენტების მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები და აგრარული მიმართულებების პრაქტიკული ხასიათის ოთხმოცამდე რეკომენდაცია, რომელიც შექმნილია 2013 წლიდან დღემდე. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო აგრეთვე აკადემიის 2012-2016 წლების ანგარიშები, აკადემიაში 2013-2016 წლებში ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებულები, მარცვლეული კულტურების, მევენახეობა-მეღვინეობის, მეაბრეშუმეობის და მეცხოველეობის დარგის ექსპონატები, ფესტივალის და აკადემიის ბანერები.

სტუმრებს მასპინძლობას უწევდნენ და აკადემიის შესახებ ახსნა-განმარტებას აძლევდნენ აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკად. ე. შაფაქიძე, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, დოქტ. ა. გიორგაძე, აკადემიის პრეზიდენტის თანაშემწე საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში თ. ეპიტაშვილი, სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივნები, დოქტორები მ. ბარვენაშვილი და რ. ლოლიშვილი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საგამოფენო სტენდთან. მარცხნიდან მინისტრის მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი, მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა, აკად. ელგუჯა შაფაქიძე, მინისტრის მოადგილე ლია გიგაური.

საქართველოში ცხოველთა სოკოვანი დაავადებების გავრცელების შესახებ

2017 წლის 28 ივლისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ მოისმინა მოხსენება აკადემიკოს თენგიზ ყურაშვილის მოხსენება: **“საქართველოში ცხოველთა სოკოვანი დაავადებების გავრცელების შესახებ.”**

აღინიშნა, რომ პათოგენური სოკოებით გამოწვეულ დაავადებებს მიკოზები ეწოდება. მიკოზებით ავადდებიან სხვადასხვა სახეობის ცხოველები, ფრინველები, ფუტკარი, თევზები და ადამიანი. პათოგენური სოკოების რეზერვუარია ნიადაგი. სამრეწველო ქალაქების ჰაერში დიდი რაოდენობითაა ობის სოკოები. მთელს მსოფლიოშია გავრცელებული დაავადებები, გამოწვეული საფუარა სოკოებით – კანდიდამიკოზები. სოკოებს შეუძლია დააზიანოს ქსოვილები როგორც გარეგანად, ასევე ორგანიზმის შიგნით.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ინფექციური დაავადებები, რომლებიც ხასიათდებიან კანის და მისი წარმონაქმნის დაზიანებით – დერმატომიკოზები.

დერმატომიკოზები დიდი ხნის წინ იყო ცნობილი. ამ დაავადების შესწავლა დაიწყო მათი აღმძვრელების აღმოჩენის დროიდან. ცხოველებს შორის მეტად გავრცელებულია ტრიქოფიტია და მიკროსპორია.

დერმატომიკოზებით გამოწვეული ეკონომი-

კური ზარალი საკმაოდ დიდია. ცხოველის დასნებოვნების დროს ადგილი აქვს წონამატის და რძის პროდუქტიულობის დაქვეითებას, ტყავის ხარისხის გაუარესებას. მნიშვნელოვანი თანხა იხარჯება ცხოველთა მკურნალობაზე, ბუნების დეზინფექციაზე და სხვა. ადამიანის დაავადების შემთხვევაში საჭიროა ხანგრძლივი მკურნალობა.

ტრიქოფიტია (მკრეჭავი მუნი) ცხოველების და ადამიანის ინფექციური დაავადებაა, რომელიც ხასიათდება კანზე მკვეთრად შემოსაზღვრული მომრგვალო აქერცლილი კერების გაჩენით, სეროზულ-ჩირქოვანი ექსუდატის გამოყოფით და სქელი ქერქების წარმოქმნით.

დაავადების აღმძვრელია Trichophyton verrucosum. სოკოები ძალიან გამძლენი არიან. დაზიანებულ ბალანში 6–10 წლამდე ძლებენ, ნაკელში და წუნწუხში – 3–8 თვემდე, ნიადაგში – 140 დღე.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. ტრიქოფიტიით ავადდება ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო ცხოველი. უფრო ხშირად კი მსხვილი რქოსანი პირუტყვი, ცხენი, ძაღლი, კატა, იშვიათად – ღორი, ცხვარი, თხა. ავადდება აგრეთვე თაგვი, ვირთხა, ბოცვერი, ბეწვიანი ნადირი და სხვა. ახალგაზრდა ცხოველები უფრო ამთვისებლები არიან და დაავადება მძიმედ მიმდინარეობს.

არაკეთილსაიმედო მეურნეობებში ხბო ავადდება ერთი თვის ასაკიდან, ბოცვერი – 1,5–2 თვიდან.

დაავადების აღმძვრელის წყაროა დაავადებული ცხოველი, აღმძვრელი დაავადებული ცხოველიდან გამოიყოფა კანის ქერქით, ეპიდერმისის ქერცლით და ბალნით. სოკოს სპორები ხანგრძლივად შენარჩუნდებიან დაავადებამოხდილი ცხოველის ბალანზე. აღმძვრელის რეზერვუარია ნიადაგი.

აღმძვრელის გადაცემის ფაქტორებია: დაინფიცირებული საკვები, ნაკელი, ცხოველის სადგომი, ქვეშსაფენი და სხვა. ტრიქოფიტიის გავრცელებაში დიდ როლს თამაშობენ მღრღნელები – თაგვი, ვირთხა. აღმძვრელის გადამტანი შეიძლება იყოს მწერები.

ტრიქოფიტია გვხვდება წლის ყველა დროს, მაგრამ უფრო ხშირად გაზაფხულზე და შემოდგომა-ზამთრის პერიოდში. ამას ხელს უწყობს ცხოველის ორგანიზმის დასუსტება, მოვლა-შენახვისა და კვებაში დარღვევები.

ტრიქოფიტიის აღმძვრელი სოკო მრავლდება კანის რქოვანა შრეში და ბალანში, რაც განაპირობებს ბალნის კვების დარღვევას და მის ცვენას.

დაავადების ინკუბაციური პერიოდი 6–30 დღეა. არჩევენ დაავადების რამდენიმე კლინიკურ ფორმას: ზედაპირული, ღრმა და წაშლილი (ატიპიური). მოზარდში ხშირია დაავადების ღრმა ფორმა.

ზრდასრულ მსხვილ რქოსან პირუტყვში ზიანდება თავის და კისრის კანი; იშვიათად ტანის, ზურგის და კუდის მიდამო. ხბოში – შუბლის, თვალების, პირის ირგვლივ და ყურის ძირის კანი, ძაღლში, კატაში და ბეწვიან ნადირში – თავის (ცხვირი, შუბლი, ყურის ძირი), კისრის და კიდურების კანი.

დაავადების ***ზედაპირული ფორმის დროს*** ჩნდება მკვეთრად შემოსაზღვრული ლაქები აბურძგნული ბალნით. ლაქები თანდათან დიდდება, ზედაპირი დასაწყისში იქერცლება, ხოლო მერე ასბესტისებური ქერქებით იფარება. ცხოველს ეწყება ქავილი.

ღრმა ფორმის დროს ანთებით პროცესი კანის დაზიანებულ ადგილებში მკვეთრად არის გამოხატული. ხშირად წარმოიქმნება ჩირქი, რომლისგანაც ფორმირდება მსხვილი ქერქები. ახალგაზრდა ცხოველი ავადმყოფობის პერიოდში ზრდაში ჩამორჩება და ხდება.

ზედაპირული ფორმა უფრო ხშირია ზაფხულში, ხოლო ღრმა – შემოდგომა-ზამთარი-გაზაფხულის პერიოდში.

წაშლილი (ატიპიური) ფორმა გვხვდება ზაფხულში. ჩნდება გაშიშვლებული კერები, აქერცლილი ზედაპირით. ამ უბნებში მკვეთრად გამოხატული ანთება არ არის.

დაავადების ხარისხი – მსუბუქი (1–5 კერა), საშუალო (6–15 კერა), ძლიერი (15 კერაზე მეტი).

დაავადებაზე დიაგნოზი ისმება ეპიზოოტოლოგიური მონაცემების, კლინიკური ნიშნების და მიკროსკოპიის საფუძველზე. საეჭვო შემთხვევაში ლაბორატორიაში იგზავნება კანის დაზიანებული ადგილებიდან ანაფხეკი, ქერქი, ბალანი, უკეთესია დაზიანებული და ჯანმრთელი უბნების საზღვრიდან.

ცხოველის მკურნალობა ტარდება იზოლირებულ პირობებში, პირადი პროფილაქტიკის წესების დაცვით. სამკურნალოდ იყენებენ ტრიქოფიტიის და სხვა სოკოვანი დაავადებების სამკურნალოდ მოწოდებულ ფუნგიციდურ და ბაქტერიციდულ მალამოებს.

ძაღლის, კატის და ცხენის ტრიქოფიტიის დროს სამკურნალოდ კარგი ეფექტით გამოიყენება ფუნგიციდური შამპუნები.

ზოგადი მოქმედების პრეპარატებიდან იყენებენ ვიტამინებს და ანტიბიოტიკ გრიზეოფულვინს.

მკურნალობის დროს სპეციფიკური საშუალებების სახით გამოიყენება ამ სახის ცხოველისთვის შესაბამისი ტრიქოფიტიის საწინააღმდეგო ვაქცინები. ვაქცინები შეჰყავთ ცხოველში ორჯერადად, ორჯერ უფრო დიდი დოზით, ვიდრე პროფილაქტიკური.

დაავადების პროფილაქტიკა და ბრძოლის ღონისძიებები მოიცავს ცხოველის მოვლა-შენახვის და კვების პირობების დაცვას. ცხოველთა სადგომებში პროფილაქტიკური დეზინფექციის, დერატიზაციის ჩატარების და სხვა.

პროფილაქტიკური მიზნით ტრიქოფიტიაზე არაკეთილსაიმედო მეურნეობაში იყენებენ გრიზეოფულვინს, გოგირდს მეთიონინით საკვებთან ერთად.

ტრიქოფიტიის სპეციფიკური პროფილაქტიკის მიზნით გამოიყენება სხვადასხვა სახის ცხოველში ტრიქოფიტიის საწინააღმდეგო ვაქცინები.

მიკროსპორია სოკოვანი დაავადებაა, რომლის დროსაც ძირითადად ზიანდება კანი. ცალკეული ცხოველის მიკროსპორიის აღმძვრელს თავისი სახეობა გააჩნია. სოკოები საკმაოდ გამძლეა გარემო არეში. დაზიანებულ ბალანში ცოცხლობს 2–5 წლამდე, ნიადაგში – 2 თვემდე.

მიკროსპორიით ავადდება ძაღლი, კატა, ბეწვიანი ნადირი, ბოცვერი, თაგვი, ცხენი, ცხვარი, თხა, ღორი. მიკროსპორიით სნებოვნდება ადამიანიც.

უფრო ხშირად ეს დაავადება გვხვდება კატასა და ძაღლში. ინფექციის აღმძვრელის წყაროა ავადმყოფი ცხოველი. განსაკუთრებით საშიშია მაწანწალა კატა და ძაღლი. ისინი ხშირად ინფექციის აღმძვრელის წყაროს წარმოადგენენ ადამიანებისთვის, განსაკუთრებით ბავშვებისთვის.

ინფექციის გავრცელების თვალსაზრისით დიდ საშიშროებას წარმოადგენს აგრეთვე მღრღნელები.

მიკროსპორია აღინიშნება წლის ყველა დროს. ცხოველებში მიკროსპორიის განვითარებას ხელს უწყობს ორგანიზმში ვიტამინების არასაკმარისი რაოდენობა და კანის ტრავმა.

დაავადების ინკუბაციური პერიოდი 22–47 დღეა. ავადმყოფობის ხანგრძლივობა 3–9 კვირიდან 7–12 თვემდეა. არჩევენ მიკროსპორიის ზედაპირულ, ღრმა, წაშლილ და ფარულ ფორმებს.

ზედაპირული ფორმის დროს აღინიშნება ბალნის ცვენა და მომრგვალო, უბალნო, აქერცლილი ლაქების გამოჩენა. დაზიანება შეიძლება იყოს კეროვანი ან გაფანტული. ზედაპირული ფორმა ხშირად აღინიშნება კატაში, ძაღლში, ცხენში და ბეწვიან ნადირში.

ღრმა ფორმის დროს ანთებითი პროცესი მკვეთრადაა გამოხატული. კანის ზედაპირზე შეიმჩნევა გამშრალი ექსუდატის ქერქები. წვრილი ლაქები შეიძლება შეერთდეს და წარმოიქმნება ფართო, ქერქებით დაფარული კერები. მიკროსპორიის ღრმა ფორმას ადგილი აქვს ცხენებში, ბეწვიან ნადირში და ღორში.

ატიპიური (წაშლილი) ფორმის დროს შეიმჩნევა უბალნო ადგილები ან ლაქები თხელი (მეჩხერი) ბალნით. ანთებითი პროცესი სუსტად არის გამოხატული. ფარული ფორმის დროს აღინიშნება ცხოველის ცხვირ-პირზე და სხეულის სხვა ადგილებზე ცალკეული ბალნის დაზიანება კლინიკური ნიშნების გარეშე.

დაავადებაზე დიაგნოზი ისმება ეპიზოოტოლოგიური მონაცემების, კლინიკური ნიშნების და მიკროსკოპული გამოკვლევის საფუძველზე.

მიკროსპორია უნდა გაირჩეს ტრიქოფიტიისაგან, ქავანის, A-ჰიპოვიტამინოზის და არაინფექციური ეტიოლოგიის დერმატიტებისაგან ლაბორატორიული, კლინიკური და ეპიზოოტოლოგიური მონაცემებით.

დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება: 5–10%-იანი სალიცილის სპირტი, სულფონი, გოგირდის ანჰიდრიდი, 3–10%-იანი კარბოლის და ბენზოლის მჟავა, მალამო „იამი“, ნიფიმიცინის და ვაგანოვის მალამოები, ნიტროფუნგინი და სხვა გარეგანი გამოყენების პრეპარატები. ბევრ ამ საშუალებას აქვს მოწვითი მოქმედება, იწვევს კანის ანთებით რეაქციას დამწვრობამდე. ამიტომ ფართო დაზიანების შემთხვევაში არ შეიძლება მათი გამოყენება ერთბაშად დიდ ზედაპირზე. ამ შემთხვევაში ავადმყოფი ცხოველის ტანის სხვადასხვა ადგილის სამკურნალო დამუშავება ხდება რიგრიგობით, რამდენიმე დღის ინტერვალით.

ზოგადი მოქმედების პრეპარატებიდან გამოიყენება ვიტამინები და ანტიბიოტიკი გრიზეოფულვინი. გრიზეოფულვინს აძლევენ ავადმყოფ და დაავადებაზე საეჭვო ცხოველს საკვებთან ერთად. მკურნალობის კურსს იმეორებენ 10-დღიანი შესვენების შემდეგ.

მიკროსპორიის შემთხვევაში იმუნიტეტი არასაკმარისად არის შესწავლილი. აქედან გამომდინარე, სპეციფიკური პროფილაქტიკის საშუალებები არ არის შემუშავებული.

დაავადების პროფილაქტიკის მიზნით დაინფიცირებულ სადგომში ტარდება სველი დეზინფექცია გალიების, საკვებურების და მოხმარების საგნების სარჩილავი ნათურის ცეცხლით. ძაღლის საყელო, ღვედი, ჯაგრისი და სხვა ნივთები უნდა დამუშავდეს 4%-იანი ფორმალდეჰიდის ხსნარით. ისინი თავსდება სითხეში 30 წუთით.

სირსველა (ფავუსი) – უმთავრესად ფრინველის, იშვიათად ძუძუმწოვარა ცხოველთა და ადამიანის სოკოვანი დაავადებაა, რომელიც ხასიათდება კანის, ბუმბულის (ბალნის) ბრჭყალების და ზოგჯერ შინაგანი ორგანოების დაზიანებით.

დაზიანებულ ბალანში სოკოს ელემენტები ლაგდება მის სიგრძეზე, სადაც მუდამ არის ჰაერის ბუშტუკები (მუქი ლაქების სახით) და ცხიმის წვეთები. ეს ითვლება დაავადების აღმძვრელი სოკოს განმასხვავებელ ნიშნად სხვა დერმატოფიტებისაგან. დაზიანებული ბალანი მთლიანად არ ივსება სოკოს ელემენტებით, ამიტომ ის არ ტყდება, გრძელი რჩება, მაგრამ მონაცრისფრო ელფერს იძენს.

სირსველით უფრო ხშირად ავადდება ფრინველი, განსაკუთრებით ქათამი, ნაკლებად ძუძუმწოვარა ცხოველები (თაგვი, ვირთხა, კატა, ბოცვერი, ძაღლი, ცხენი, ცხვარი და სხვა).

შესაძლებელი გარემო არის ობიექტებში აღმძვრელის ხანგრძლივი შენარჩუნება, რითაც ჯანმრთელი ცხოველისათვის საშიშროება იქმნება მრავალი თვის განმავლობაში. ტკიპები და მღრღნელები დიდ როლს ასრულებენ დაავადების გავრცელებაში.

აღმძვრელი კანზე მოხვედრისას მასში მრავლ-

დება ბალნის და ბუმბულის ირგვლივ და იწვევს ანთებას, რის გამოც ირღვევა კვება და ქსოვილი ატროფირდება. პროცესის გენერალიზაციის დროს აღმძვრელი შეიძლება სისხლით გადატანილი იქნეს პარენქიმულ ორგანოებში, სადაც წაროქმნის კვანძებს და მცირე წყლულებს.

დაავადების ინკუბაციური პერიოდი გრძელდება რამდენიმე დღიდან 3–4 თვემდე.

შინაურ ქათმებში, ინდაურში და იხვში დაავადების პირველი ნიშნები ვლინდება თავის კანის უბუმბულო ნაწილში მომრგვალო ფორმის თეთრი ლაქების სახით, რომლებიც შემდეგ გადაიქცევიან კვანძებად. ამ კვანძების ზედაპირზე გამოიჟონება ექსუდატი და წარმოიქმნება ნაცრისფერი, თეთრი და მოყვითალო ქერქები. წარმოქმნილი ქერქები თანდათან ერთმანეთს უერთდებიან და ნისკარტის, ბიბილოს, ღაბაბის ირგვლივ კანზე ქმნიან მნელად მოსაცილებელ მკვრივ ნაცრისფერ ნადებს. პროცესის გართულების შემთხვევაში ზიანდება ფრთის, კისრის და ტანის ბუმბული. ბუმბულის ძირის ირგვლივ კანზე ვითარდება სქელი ქერქები, ირღვევა ბუმბულის კვება და იგი ცვივა. დეფორმირებულ ბუმბულს აქვს ნაცრისფერი საფარი, რომელიც შედგება მიცელიუმისაგან და სპორებისაგან.

კანს გაცვენილი ბუმბულის ადგილზე, დაფარულს ქერცლით და ქერქით, ასდის თაგვის სუნი.

ფრინველის მძიმედ დაავადების დროს აღინიშნება პირის ღრუს, ცხვირ-ხახის, ზემო სასუნთქი გზების, ჩიჩახვის, ნაწლავის ლორწოვანი გარსის ანთების ნიშნები. ავადმყოფი ცუდად ჭამს, უვითარდება ფაღარათი, იფიტება და კვდება.

ძუძუმწოვრებს: კატას, ძაღლს, ბოცვერს აღენიშნება დაზიანება თავზე, ყურის ნიჟარაზე, თათებზე და ბრჭყალებზე, ამასთან არაიშვიათად ანთებით პროცესში ჩაერთვება ღრმად მდებარე ქსოვილები. სოკო ჩაიზრდება ძვლის ქსოვილში და შეიძლება შეიჭრას ტვინშიც.

ფავუსის დროს ძუძუმწოვრებში დამახასიათებელია კანზე ფუფხის წარმოქმნა. მათი შეერთებით იქმნება მსხვილი კერები. ბალანი დაზიანების ადგილებში ბზინვარებას კარგავს და მშრალი ხდება, იწყებს ცვენას.

დაავjადებაზე დიაგნოზი ისმება კლინიკური ნიშნების და კანზე დამახასიათებელი ცვლილებების საფუძველზე. კლინიკური დიაგნოზი მტკიცდება მიკროსკოპული გამოკვლევით.

დაავადების ტრიქოფიტიისა და მიკროსპორიისაგან დიფერენცირება შეიძლება ეპიზოოტოლოგიური მონაცემების, კლინიკური ნიშნების და მიკოლოგიური გამოკვლევის შედეგებით.

დაავადების მკურნალობის და პროფილაქტიკის სპეციფიკური საშუალებები არ არის შემუშავებული.

მეფრინველეობის მეურნეობაში დაავადების გაჩენისას ფრინველებს ათვალიერებენ. მკვეთრად გამოხატული კლინიკური ნიშნების მქონე, გამოფიტული ფრინველი ისპობა, დასნებოვნებაზე საეჭვოები კი იკვლება. სადგომში ტარდება დეზინფექციები.

ქ. თბილისისა და მისი შემოგარენის ტყემცენარეულობის თანამედროვე მდგომარეობა და ოპტიმიზაციის სატყეო-სამეურნეო ღონისძიებები

2017 წლის 28 ივლისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ მოისმინა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის გიორგი გაგოშიძის მოხსენება:

„ქ. თბილისისა და მისი შემოგარენის ტყემცენარეულობის თანამედროვე მდგომარეობა და ოპტიმიზაციის სატყეო-სამეურნეო ღონისძიებები“.

აღინიშნა, რომ დღემდე მოღწეული წერილობითი წყაროებითა და არქეოლოგიური კვლევების შედეგად მოპოვებული მასალების ანალიზით ირკვევა, თბილისი და მისი შემოგარენი ჯერ კიდევ ანტიკურ ხანამდე ყოფილა მჭიდროდ დასახლებული, რაც მისი მდებარეობის მაღალი პოლიტიკურ–ეკონომიკური, სტრატეგიული და სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფუნქციით იყო განპირობებული. აღნიშნულ ტერიტორიაზე ადამიანთა არსებობისა და განვითარებისათვის უპირველესი ხელისშემწყობი კი იმ ბუნებრივი რესურსების სიუხვე იყო, რომელთა შორის ტყეს უპირველესი ადგილი ეკავა. ცნობილი ფაქტია, რომ თბილისის დედაქალაქად გამოცხადების პერიოდში, მისი ტერიტორია და შემოგარენი გაუვალი, უღრანი ტყეებით იყო დაფარული, რომელიც საუკუნეების მანძილზე ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა. ქვეყნის ხელისუფალნი, ეკლესია და ადგილობრივი მოსახლეობა, რომლებიც ზედმიწევნით საუკეთესოდ ფლობდნენ ამ უნიკალური ბუნებრივი სიმდიდრის დაცვის, მოვლისა და კვლავწარმოების ხელოვნებას, ყოველთვის დიდი სიფრთხილით ეკიდებოდნენ ტყითსარგებლობის საკითხს და მხოლოდ სასიცოცხლოდ ისეთი მნიშვნელოვანი საჭიროებისათვის იყენებდნენ მის რესურსებს, როგორიც თუნდაც სამიწათმოქმედო–სამეურნეო საქმიანობა იყო. ტყეს ოდითგანვე ასევე დიდი და სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ბუნებრივ ციხე–სიმაგრეს, რომელსაც მოსახლეობა მტრისაგან თავის დასაცავად

იყენებდა. სწორედ ეს უკანასკნელი იყო ერთ–ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, რის გამოც მომხვდური უპირველესად ტყეს ჩეხდა და ანადგურებდა. ცნობილი ფაქტია, რომ მე-17 საუკუნიდან თბილისში მხოლოდ ნაშთებიღა იყო დარჩენილი ბუნებრივი ტყეებისა და სამწუხაროდ ასეა დღესაც, რისი მიზეზიც გარდა მტრის აგრესიისა, ურბანიზაციის შეუქცევადი პროცესიც იყო.

დღევანდელ თბილისს ჩრდილოეთით–დიდგორის, საწკეპლია – სათოვლიისა და საგურამო – იალნოს წყალგამყოფი თხემები ესაზღვრება, აღმოსავლეთით – ორხევისა და ხევძმარის მთის ფერდობები, სამხრეთისა და დასავლეთის საზღვრები თრიალეთის ქედის აღმოსავლეთი დაბოლოებაა, რომლის კალთები რამდენიმე ტოტად მიემართება მდ. მტკვრის ხეობისაკენ. ერთ–ერთი ტოტი დიღმის მინდორსა და საბურთალოს ყოფს, მეორე ტოტი კოჯრის, კიკეთის, წყნეთის ფერდობებს ქმნის. შემდეგი ტოტი თელეთის ქედითა და მამადავითის მთითაა (მთაწმინდით) წარმოდგენილი. ამასთანავე, საგურამო–იალნოს ქედების სამხრეთი კალთები, დაწყებული ჯვარის მთით მახათას მთამდე, თანდათან ეშვებიან მდ. მტკვრის ხეობისაკენ, სოფლების–ნორიოს, მარტყოფის, საცხენისისა და დიდი ლილოს მიდამოებში. ქალაქს ორ ნაწილად ყოფს მდ. მტკვარი. ორივე ნაწილის ნიადაგურ–კლიმატური პირობები საკმაოდ განსხვავებულია და მეტად მცირე სახეობრივი შემადგენლობითა და ფრაგმენტულად გავრცელებული ტყემცენარეულობითაა წარმოდგენილი, კერძოდ მდ. მტკვრისპირა ჭალის ტყეებში, ზაჰესი–ფონიჭალის მიდამოებში ფრაგმენტულადაა შემორჩენილი–თეთრი, შავი და მთრთოლავი ვერხვები (Populus hybrida, Populus nigra, Populus tremula), წნორი (Salix alba), და ჭალის მუხა (Quercus longipes), ქვეტყეში წარმოდგენილია – იალღუნი (Tamarix ramosissima) ქაცვი (Hippophaë rhamnoides), ჭალაფშატა (Elalagnus angustifolia), კვიდო (Ligustrum vulgare),მდგნალი (Salix caprea), მხვიარებიდან–ველური ვაზი–კრიკინა (Vitis silvestris), ეკალღიჭი (Smilax excelsa) და სხვა.

მუხათგვერდისა და ბოტანიკური ბაღის მიდამოებში სადაც შედარებით კარგად არის წარმოდგენილი ძველი ტყე–მცენარეულობა, ადგილობრივი ფლორიდან ასევე ფრაგმენტულადაა შემორჩენილი: ქართული მუხის (Quercus iberica), რცხილის (Carpinus caucasica), კავკასიური აკაკის (Celtis caucasiva), ჩვეულებრივი თელის (Ulmus foliacea), კორპიანი თელის (Ulmus suberosa), თეთრი თუთის (Morus alba), ჩვეულებრივი ლეღვის (Ficus carica), საკმლის ხის (Pistacia mutica), მინდვრის ნეკერჩხლის (Acer campestre), კავკასიური და გულფოთოლა ცაცხვების (Tilia caucasica,Tilia cordata) ეგზემპლარები. ქვეტყიდან ერთეულადაა წარმოდგენილი: გრძელწიწვა ღვია (Juniperus oblonga), წითელი ღვია (Juniperus rufescens), კაზაკური ღვია (Juniperus sabina), მრავალნაყოფა ღვია (Juniperus polycarpos), ტანმაღალი ჯორისძუა (Ephedra procera), ძეძვი (Paliurus spina christi), ზღმარტლი (Mespilis germanica), შავი და წითელი კუნელები (Crataegus pentagina და Crataegus microphylla), მაყვალი (Rubus caesius), კვრინჩხი (Prunus spinosa), ტყემალი (Prunus divaricata), თუთუბო (Rhus coriaria), თრიმლი (Cotinus coggigria), შინდი (Cornus mas) და შინდანწლა (Svida australis), მხვიარებიდან – ჩვეულებრივი სურო (Hedera helix).

აბორიგენი მერქნიანი ტყემცენარეულობის სახეობრივი შემადგენლობა თბილისის შემოგარენშიც თითქმის იგივეა, თუმცა ქართული მუხა და კავკასიური რცხილა უკვე ტყის გარკვეულ მასივებს ქმნიან – წყნეთის, კოჯორის, კიკეთის, ახალდაბის, ტაბახმელას, წავკისის, შინდისის, ოქროყანის, დიდგორის, თხინვალის, თელოვანის, გლდანის, მუხათგვერდის, ზაჰესისა და წინუბნის მიდამოებსა და მდ.მტკვრისა და მისი შენაკადების – გლდანისხევის, ვერეს, ლეღვთახევის (წავკისისწყლის), დიღმისწყლისა და კრწანისსხევის ხეობებში.

დღეისათვის თბილისის შემოგარენის ტყის ეკოსისტემების მდგომარეობა მკვეთრადაა გაუარესებული, რისი ერთ–ერთი მიზეზიც კლიმატის გლობალური ცვლილება, კერძოდ კი გლობალური დათბობაა, რამაც ყველა ცოცხალი ორგანიზმის და მათ შორის ტყის ბიოლოგიურად დასუსტება გამოიწვია. სწორედ ამიტომაა, რომ ის მავნე ორგანიზმები, რომლებიც დღემდე ტყემცენარეულობას ზიანს ვერ აყენებდნენ მათი მაღალი იმუნიტეტის გამო, დღეისათვის განუზომლად დიდი საფრთხის წინაშე აყენებენ ტყეების არსებობას. აღნიშნულთან ერთად განუზომლად დიდია ანთროპოგენული ფაქტორის მნიშვნელობაც, რადგან ადამიანი თავისი არაგეგმაზომიერი და არამართლზომიერი საქმიანობით (ჩეხვის შედეგად, ტყის საფარის განადგურება, დაურეგულირებელი ძოვება და ა.შ.) არანაკლებ ზიანს აყენებს ტყეს, ვიდრე აღნიშნული ბუნებრივი კატაკლიზმები.

ამჟამად თბილისის შემოგარენის მთის ფერდობებზე გვხვდება მუხნარის ტყის ფორმაციები: 1. მუხნარ–რცხილნარები; 2. რცხილნარ–მუხნარები. 3. მუხნარ–ჯაგრცხილნარები.

თბილისის შემოგარენში წმინდა მუხნარები ფართოდ იყო გავრცელებული, მაგრამ ადამიანის ზემოთაღნიშნული ქმედებების შედეგად წარმოიშვა ორი, სამი და მეტი გენერაციის მუხისა და მისი თანამგზავრი მერქნიანი სახეობების შერეული კოროშები. ამჟამად გაბატონებულია ამონაყრითი წარმოშობის IV-V კლასის ბონიტეტის მუხით ან რცხილით გაბატონებული ტყეები.

ძირითადი ტყეების ნაშთები დღემდე შემორჩენილია წყნეთის, ბეთანიის, პანტიანის, კოჯრის მიდამოებში, მდ. წავკისის ხევისა და ვერეს

აუზებში და სხვა ადგილებში.

ქვემოდ მოგვყავს მუხით გაბატონებული რამდენიმე ტყის ტიპის მოკლე დახასიათება.

1.მუხრან–რცხილნარი მთის წივანას საფარით. ტყის ესტიპი გვხვდება ძირითადად სამხრეთი ექსპოზიციის 20-35° დაქანების ფერდობებზე. ნიადაგი საშუალო სიღრმის (30-60სმ). სუსტად დაკორძებული, ხირხატიანი მომშრალო ტყის ყომრალი. კორომის შემადგენლობა 4-6 მუხა 6-4 რცხილა + იფანი + ქორაფი. ბონიტეტი IV, სიხშირე 0,4-0,6, ხნოვანება 110 წელი (90-120). ქვეტყე წარმოდგენილია შინდით, კუნელით, ჯიქათი, თხილით. ბალახოვან საფარში დომინირებს მთის წივანა, რომელსაც უმნიშვნელო სიუხვით ერევა ბერსელა, სათითურა, ქართული ძირმწარა, ტყის ფურისულა, თეთრი ია, არჯაკელი.

მუხის ბუნებრივი მოზარდი 3-6 წლის ხნოვანებაში საკმაო რაოდენობითაა კალთის ქვემ, მაგრამ 8-10 წლისა და მეტი ხნოვანების მოზარდი აღარ გვხვდება. უკეთესი ბუნებრივი განახლებით ხასიათდება რცხილა (1 ჰა–ზე 1200 ეგზემპლარი) და იფანი (500-700 ეგზემპლარი 1 ჰა–ზე).

2.მუხნარ–რცხილნარი არჯაკელიანი. ტყის ეს ტიპი გავრცელებულია ზღვის დონიდან 600-1000 მ–ის ფარგლებში, სამხრეთისა და სამხრეთ–დასავლეთის ექსპოზიციის ციცაბო ფერდობებზე (30° და მეტი). ნიადაგი თხელი, ძლიერ ხირხატიანი, მშრალი.

კორომის შემადგენლობა 8 მხ 2 რც+იფანი, თამელი; ბონიტეტი V, სიხშირე 0,4 (0,5) ხნოვანება 120 წელი (100-140). ქვეტყე ორიარუსიანია. I იარუსი შექმნილია ჯაგრცხილით, რომელსაც ერევა შინდი, კუნელი, ზღმარტლი. II იარუსი წარმოდგენილია თრიმლით, კვიდოთი, კურდღლის ცოცხით, ჭანჭყატით და სხვა ბალახეულით. ინდიკატორია არჯაკელი. სხვა სახეობებიდან შერეულია მაჩიტა, ტყიურა, კაკბის საკენკელა, თივაქასრა, ბერსელა, მოპიტნაო და სხვა.

მუხის განახლება პრაქტიკულად შეწყვეტილია. თბილისის შემოგარენში მუხნარ–ჯაგრცხილნარი რამოდენიმე ვარიანტის სახითაა წარმოდგენილი, რომელთა ჩამოყალიბება სხვდასხვა ადგილსამყოფელის პირობებითაა გამოწვეული. ადგილსამყოფელის (ეკოტოპის) ტენიანობის სხვადასხვა პირობებში ვითარდებიან მუხნარ–რცხილნარები და მუხნარ–ჯაგრცხილნარები;

1. ქსეროფილურ (siccum) პირობებში ვითარდებიან ისლიანი, არჯაკელიანი და თივაქასრიანი მუხნარ–ჯაგრცხილნარები;

2. ჰემიქსეროფილურ (Subsiccum) პირობებში – შინდიანი, მთის წივანიანი მუხნარ–რცხილნარები და მუხნარ–ჯაგრცხილნარები;

3.მეზოფილურ პირობებში (Subhumydum) – მკვდარსაფარიანი, ნაირბალახოვანი, ბერსელიანი, თხილიანი, თაგვისარიანი მუხნარ–რცხილნარები.

თბილისის შემოგარენის ამჟამინდელ ტერიტორიაზე გავრცელებულია აგრეთვე ტყის მეორადი ტიპის ბუჩქნარი მცენარეულობა, რომლის ედიფიკატორია ძეძვი და მასთან შერეული შავჯაგა. ე.წ. „ძეძვიანები“ წარმოიშვნენ ტყის ბუჩქნარებით ცვლის შედეგად. გარდა ამისა, არიდული (ნათელი) ტყეების გაჩეხვის შედეგად წარმოიშვა მეორადი ველები (სტეპები) და ნახევარ–უდაბნოს მცენარეულობა. მეორადი ველების მცენარეულობიდან აღსანიშნავია უროიანი, ვაციწვერიანი, ჯაგეკლიანი დაჯგუფებები. ამრიგად, ზემოთაღნიშნული სხვადასხვა მცენარეულობის ტიპები წარმოიშვნენ არსებული ტყეების დეგრადაციის შედეგად, რომელთა აღდგენა–განახლება ადამიანის ჩარევის გარეშე შეუძლებელია.

როგორც ვხედავთ, კლიმატური და ანთროპოგენული ფაქტორების ზეგავლენის შედეგად, თბილისისა და მისი შემოგარენის ტყის ბუნებრივი ლანდშაფტები დღეისათვის ძირითადად წარმოდგენილია მთისა და ბარის ქსეროფილური მცენარეებით. თუ გავითვალისწინებთ თბილისის ტერიტორიაზე მის შემოგარენში არსებული ხელოვნური ნარგაობების (შავი, ელდარისა და სოსნოვსკის ფიჭვები, ქართული მუხა, ჩვეულებრივი და მსხვილნაყოფა იფანი, იაპონური სოფორა, კოელრეუტერია, მინდვრის. ამერიკული და თათრული ნეკერჩხლები, აკაკი, ფშატი, ნუში, ღვიის სხვადასხვა სახეობები, თრიმლი, კურდღლის ცოცხი და სხვა მცენარეთა ნარგაობები) სავალალო მდგომარეობასაც, რაც ისევ და ისევ კლიმატის გლობალური ცვლილებით, მავნე ორგანიზმების კატასტროფული მომძლავრებით, მოუვლელობით, ამორტიზაციის კრიტიკული პერიოდით, ახალი საცხოვრებელი მასივების, კაფე–რესტორნების, ავტოგასამართი სადგურების მშენებლობითა და კვალიფიციური, სწორი სატყეო–სამეურნეო ღონისძიებების სრული იგნორირებითაა გამოწვეული, აუცილებელია შემდეგი სახის პრევენციული სატყეო–სამეურნეო ღონისძიებების განხორციელება:

– კერძოდ დგება საკითხი იმის შესახებ, რომ უახლოეს პერიოდში თანდათანობით, ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს მეცნიერულად დასაბუთებული და დიდი ხნის განმავლობაში პრაქტიკულად აპრობირებული ის გადაუდებელი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქალაქისა და მისი შემოგარენის ტყეების თანამედროვე მდგომარეობის ძირეულ გაუმჯობესებას, კერძოდ:

– სასწრაფოდაა მოსაგვარებელი გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის ეფექტურობის ამაღლების პრობლემა. ქალაქის გამწვანებისა და მისი შემოგარენის ტყეების მოვლა–დაცვისა და კვლავწარმოების სამუშაოების დროულად და სრულად დაფინანსება საქალაქო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო ბიუჯეტში პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა იქნას მიჩნეული, ე.ი. პირველ რიგში განსახორციელებელ სამუშაოთა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს და

შესაბამისად უზრუნველყოფილი უნდა იქნას სათანადო მატერიალურ–ტექნიკური საშუალებებითა და ფულადი სახსრებით. უნდა მოხდეს ამ სფეროში დასაქმებულ მუშაკთა სოციალურ–ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სფეროში პროგრესის მიღწევა შეუძლებელია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ქალაქის მწვანე მშენებლობის სისტემა და მის მიმდებარე ტყეებში მეურნეობის წარმოება თავისი სპეციფიკურობის გამო, ალბათ ჯერ კიდევ დიდხანს ვერ დააღწევს თავს ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსებას;

– ქალაქის ცალკეული რაიონების მიხედვით ეტაპობრივად (მორიგეობით) უნდა ჩატარდეს ტყეებისა და მწვანე ნარგაობათა აღწერა–ინვენტარიზაცია, რომლის გარეშე წარმოუდგენელია ქალაქის ეკოლოგიური ფონის თანამედროვე მდგომარეობის შეფასებაა, კერძოდ, სად და რა რაოდენობით არის შემორჩენილი მცენარეულობა, როგორია მათი ბიოლოგიური თუ ხარისხობრივი მაჩვენებლები; რამდენად აკმაყოფილებენ ისინი მოსახლეობის მოთხოვნებს; სად და რა ოდენობით არის საჭირო მწვანე საფარის აღდგენა–განახლების სამუშაოთა განხორციელება და სხვა; ტყეებისა და მწვანე ნარგავთა სრული ინვენტარიზაცია, სათანადო ფულადი სახსრების ერთდროულად გამოყოფის შეუძლებლობის შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს ქალაქის შემოგარენისა და მისი ცენტრალური პროსპექტების, პარკებისა თუ ქუჩების (რუსთაველის, ი.ჭავჭავაძის, ალ.ყაზბეგის, ვაჟა–ფშაველას, მ. კოსტავას, აკ.წერეთლის, ცოტნე დადიანის, ნ. დუმბაძის, ქეთევან წამებულის, დავით აღმაშენებლის ხეივანი და პროსპექტი, ქ. ჩოლოყაშვილის, კ.ლესელიძის და სხვა ქუჩები თუ პროსპექტები) მიხედვით მაინც – ეტაპობრივად;

– აღწერა–ინვენტარიზაციის სამუშაოები, სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე უნდა დაევალოს ყოფილი სპეციალიზებული, კომპეტენტური ორგანიზაციის – „საქართველოს ტყეპროექტის“ ბაზაზე შექმნილ „შ.პ.ს.“–ებს, სადაც თავმოყრილია მაღალი კვალიფიკაციის მეტყევე–ტაქსატორთა ძირითადი ბირთვი და რომელთაც ტყეების ინვენტარიზაციის სამუშაოების შესრულების უდიდესი გამოცდილება გაჩნიათ;

– ტყის და მწვანე ნარგაობათა ინვენტარიზაციის მასალების ანალიზისა და, საერთოდ, ქალაქის შემოგარენისა და ცალკეული რაიონების რელიეფური, ნიადაგობრივ–კლიმატური და სხვა კონკრეტული პირობების გათვალისწინების საფუძველზე უახლოეს პერიოდში უნდა შედგეს ქალაქის და მისი შემოგარენის მწვანე საფარის პრევენციის ერთიანი, მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკულად გამოსაყენებელი კონცეფცია, სადაც ცალკეული რაიონებისა თუ მიკროტერიტორიების რელიეფური, ნიადაგობრივ–კლიმატური და სხვა პირობების შესაბამისად განისაზღვრება ჩასატარებელ სამუშაოთა მოცულობა და მისი განვითარების ძირითადი პრინციპები;

– აღნიშნული კონცეფციისა და გენგეგმის შემუშავებისათვის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურთან უნდა შეიქმნას კომპეტენტურ მეცნიერთა და სპეციალისტთა სამუშაო ჯგუფი. კონცეფციისა და გენგეგმის შედგენის, დასაქმებულ მეცნიერთა თუ სპეციალისტთა შრომის სათანადო ანაზღაურების და მატერიალურ–ტექნიკური საშუალებების შეძენისათვის, თბილისის მერიის მიერ სათანადო ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, გამოყოფილი უნდა იქნას საჭირო დაფინანსება;

– ქალაქისა და მისი შემოგარენის გამწვანების ნორმალურად წარმოებისათვის, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს საკუთარი, მაღალ სამეურნეო დონეზე ორგანიზებული სანერგე მეურნეობის მოწყობა–აღორძინება, რის საფუძველზეც უზრუნველყოფილი უნდა იქნას ქალაქის გამწვანებისათვის საჭირო ძვირფასი, დეკორატიულად მიმზიდველი, ბიოლოგიურად და ტექნოლოგიურად მდგრადი მერქნიანი და ყვავილოვანი მცენარეების იმ რაოდენობით აღზრდა–ფორმირება, რაც მაქსიმალურად დააკმაყოფილებს ქალაქის მწვანე მშენებლობის მოთხვნილებას;

– ქალაქის მწვანე ნარგაობათა და მისი მიმდებარე ტყეების მავნე ორგანიზმებისაგან დაცვის უზრუნველსაყოფად უნდა განხორციელდეს სათანადო სამეცნიერო–საწარმოო კვლევები მავნებელ–დაავადებების გავრცელების, სახეობრივი შემადგენლობის, ბიოლოგიურ–ეკოლოგიური თავისებურებების, რიცხოვნობის და სხვა მაჩვენებლების დასადგენად. რეგულარულად უნდა ჩატარდეს მწვანე ნარგავთა და ტყეების პათოლოგიური მდგომარეობის შესწავლა და ამის საფუძველზე დაისახოს და განხორციელდეს მავნებელ–დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ინტეგრირებული, კონკრეტული ფიტოსანიტარული ღონისძიებები;

– შესწავლილი უნდა იქნას თბილისის მიმდებარე ტყეებსა თუ უტყეო ტერიტორიებზე გავრცელებული სამკურნალწამლო მცენარეების ზრდა–განვითარების, ბიოლოგია–ეკოლოგიის თავისებურებები და დაისახოს მათი სწორად გამოყენების კონკრეტული ღონისძიებები. სამკურნალო მცენარეების მოპოვებისა, მათი მიზანდასახული გამოყენებისა და რეალიზაციის საქმიანობაზე სათანადო კონტროლი უნდა დააწესოს მერიის გარემოს დაცვის სამსახურმა;

– ქალაქისა და მისი შემოგარენის რელიეფური, ნიადაგობრივ–კლიმატური კონკრეტული პირობების გათვალისწინებით უნდა დაზუსტდეს და ხელახლა შემუშავდეს ხელოვნური და ბუნებრივი ტყეების აღდგენის აგროტექნიკური და სატყეო–სამეურნეო ტექნოლოგიური, ღონისძიებები, განსაკუთრებული

ყურადღება უნდა დაეთმოს გარემოს დაბინძურებისადმი იმ მდგრადი მერქნიანი მცენარეების გამოვლენას და წარმოებაში დანერგვას, რომელთაც გააჩნიათ მავნე გამონაბოლქვი აირებისა და შხამ–ქიმიკატების შთანთქმის (დეტოქსიკაციის) უნარი და ამით ხელს უწყობენ გარემოს სანიტარულ–ჰიგიენური პირობების გაჯანსაღებას;

– ქალაქის მწვანე ნარგაობათა და მიმდებარე ტყეების გაჩანაგება–განადგურებისაგან გადარჩენის საქმეში არსებული სერიოზული დარღვევების, ნაკლოვანებებისა და შეცდომების თავიდან აცილებისათვის, მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს თბილისის მერიასთან ე.წ. „მწვანე კომისიის“ აღდგენა, რომელშიც შევლენ ლანდშაფტის არქიტექტორები, გამწვანების აგრონომები, მეტყევეები, ბოტანიკოსები და სხვა სპეციალისტები, რომელთა დასკვნის გარეშე არ უნდა მოიჭრას ან გაშენდეს არც ერთი ხე, ბუჩქი თუ სხვა მცენარე, არ უნდა გაიცეს სხვადასხვა ობიექტის მშენებლობასთან დაკავშირებული სათანადო ნებართვები. აღნიშნული კომისიის პრინციპული მუშაობის შედეგად ბოლო უნდა მოეღოს ან ძლიერ შეიზღუდოს ამ ბოლო წლებში მწვანე ნარგავთა თუ ტყისადმი ადამიანთა განუკითხავი დამოკიდებულება, რამაც ბევრ ადგილზე მათი გაჩანაგება–განადგურება გამოიწვია;

– თბილისის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული, პირველ რიგში დაბალი ღირსების ტყეების თანამედროვე მდგომარეობის, პროდუქტიულობისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლებისათვის თანდათანობით, ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს ამ ტყეების ბუნებრივი განახლების ხელშემწყობი და სარეკონსტრუქციო ღონისძიებები, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სპეციალისტთა რეკომენდაციების საფუძველზე;

– თბილისის მიმდებარე ტყეებსა და საერთოდ ბუნების წიაღში მოსახლეობის მასობრივი დასვენებისა და ტურიზმის განვითარების უზრუნველსაყოფად შესაბამისი ორგანიზაციების მონაწილეობით უნდა დამუშავდეს სათანადო ღონისძიებები (ბუნების წიაღში მოსახლეობის დასვენების კუთხეების, წყაროების, ბილიკების, ფანჩატურების, გადასახედების, მცირე არქიტექტურული ფორმებისა და სხვათა მოწყობა);

– მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის ეკოლოგიური განათლების დონის ამაღლების მიზნით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად, მერიის გარემოს დაცვის სამსახურმა უნდა მოამზადოს განსახილველად და შემდგომ მერიას წარუდგინოს დასამტკიცებლად და განსახორციელებლად – მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების ამაღლების ფართო მასშტაბის კომპლექსური პროგრამა;

– ქალაქის ცალკეული უბნების (სოლოლაკი, მთაწმინდა, ვარაზისხევი, მახათას მთა, ორთაჭალა და სხვა). წყლისმიერი ეროზიული პროცესებისაგან დაცვის უზრუნველსაყოფად, ერთხელ კიდევ დამატებით უნდა იქნეს გამოკვეთილი თბილისის შემოგარენის ტყეების წყალმარეგულირებელი, ნიადაგდაცვითი და ეროზიის საწინააღმდეგო ფუნქციები და დაისახოს მათი შენარჩუნება–გაძლიერების კომპლექსური ღონისძიებები. ამ პრობლემის შესწავლა სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე უნდა ეთხოვოს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და მის მიერ რეკომენდებულ შესაბამისი კომპეტენციის ორგანიზაციებს;

– თბილისსა და მის შემოგარენში უტყეო ფართობების გასატყევებლად (ტყის კულტურების გასაშენებლად) აგროტექნიკური ღონისძიებები უნდა ჩატარდეს ნიადაგის სიღრმის გათალისწინებით.

ა) ქვედა სარტყელში (400-700 მ ზ.დ) მცირე სიღრმის სუსტად განვითარებულ (30 სმ–მდე სიღრმის) ნიადაგებზე რეკომენდაციას ვაძლევთ ელდარის ფიჭვის, აკაკის, იუდას ხის, ღვიების გაშენებას. ბუჩქებიდან უნდა გაშენდეს – თრიმლი, შავჯაგა, ბროწეული;

ბ) საშუალო სიღრმისა (30-60 სმ) და მეტ (ნიადაგებზე – საღსაღაჯი, ქართული ნეკერჩხალი, კავკასიური რცხილა, ბერყენა, ღვიები. ბუჩქებიდან – თრიმლი, თუთუბო, კურდღლის ცოცხი. ზედა სარტყელში (700-1200 მ ზ.დ);

გ) მცირე სიღრმის სუსტად განვითარებულ (30 სმ–მდე სიღრმის) ნიადაგებზე – ქართული მუხა, კავკასიური რცხილა, აღმოსავლეთის მუხა, მინდვრის ნეკერჩხალი. ბუჩქებიდან – კუნელი;

დ) საშუალო სიღრმის (30-60 სმ) და ღრმა (60 სმ და მეტი) ნიადაგებზე – შინდი, ზღმარტლი, ჭანჭყატი, კუნელი;

– ურწყავ პირობებში ტყის კულტურები საჭიროა გაშენდეს დათესვით (განსაკუთრებით საღსაღაჯი და ბერყენა) ან 2 წლიანი სტანდარტული ნერგების დარგვით (ჰექტარზე 10000 ძირი);

– გამეჩხერებულ, დაბალპროდუქტიულ მუხნარებში საჭიროა ჩატარდეს რეკონსტრუქცია, რომლის მიზანია – კორომის შემადგენლობის ხარისხის გაზრდა, მისი პროდუქტიულობის ამაღლება;

– ბუნებრივი განახლების ხელისშემწყობ ღონისძიებათა სახით რეკომენაციას ვაძლევთ მუხნარებში არსებულ ღია ადგილებისა და ფანჯრების ჯაგეკლიანი ბუჩქებისაგან გაწმენდას, ნიადაგის გაფხვიერებას– 1X1მ ან 2X2 მ სიდიდის ბაქნებზე მუხისა და მისი თანამგზავრი მერქნიანი სახეობების თესლითი განახლების მიზნით;

– იმ ფართობებზე, რომლებზედაც მიმდინარეობს ტყის აღდგენითი ღონისძიებები უნდა აიკრძალოს ყოველგვარი ჭრა და საქონლის ძოვება.

– მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქალაქში–დელისის, მთაწმინდისა და სხვა ფერდობებზე,

– ამორტიზებული, გამხმარი ფიჭვისა და სხვა მცენარეთა ეგზემპლარების მოჭრა და გამოტანა უნდა მოხდეს თანდათანობით, ეტაპობრივად, წყლისმიერი ეროზიის განვითარების რისკების თავიდან აცილების მიზნით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ჯემალ კაციტაძის წარმატება ევროპის პრესტიჟულ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმზე

2017 წლის 21...25 ივნისს ბულგარეთის საკურორტო ქალაქ ვარნაში ევროკავშირის ეგიდით ჩატარდა მნიშვნელოვანი საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონგრესი თემაზე "მანქანები სოფლის მეურნეობაში", რომელშიაც მონაწილეობდა ევროკავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის 100-ზე მეტი მეცნიერი და დოქტორანტი ბულგარეთიდან, პოლონეთიდან, იტალიიდან , გერმანიიდან, ჩეხეთიდან, ა ლბანეთიდან, უნგრეთიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან , ყაზახეთიდან , ბელარუსიდან და საქართველოდან, მათ შორის 4 აკადემიკოსი, 60 პროფესორი , 30 დოქტორანტი და მეცნიერ-თანამშრომელი. კონგრესზე საქართველოს წარმოადგენდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი , აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი ჯემალ კაციტაძე და დოქტორანტი გიორგი ქუთელია. კონგრესის პლენარულ სხდომაზე აკად. ჯემალ კაციტაძემ წარადგინა სამეცნიერო მოხსენება :" **Improving the reliability of agricultural machinery, using the method of restoration of parts under submerged arc welding, and its technical and economic evaluation** ". აკად. ჯემალ კაციტაძე იყო კონგრესის საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტის წევრი და პლენალურ სხდომაზე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკად. გურამ ალექსიძის სახელით გულთბილად მიესალმა კონგრესის მონაწილეებს და უსურვა მათ წარმატებები სამეცნიერო- კვლევით მუშაობაში, ხოლო ორგანიზატორებს გადასცა სამახსოვრო სუვენირები. საბოლოოდ, საორგანიზაციო კომიტეტის მიერ შერჩეულ იქნა სამი საუკეთესო ნაშრომი, რომლებსაც გადაეცათ პირველი ხარისხის დიპლომები და მათ შორის იყო აკად. ჯემალ კაციტაძის მოხსენება, რომელიც დაიბეჭდა მაღალი იმფაქტფაქტორის მქონე ჟურნალში MTM (Machines, Technologies, Materials).

აკად. ჯემალ კაციტაძის გამოსვლა საერთაშორისო სამეცნიერო- ტექნიკურ კონგრესზე (ვარნა, ბულგარეთი, 22 ივნისი, 2017 წელი).

საერთაშორისო სიმპოზიუმი „ევრაზიული ბიომრავალფეროვნება“ (ქ. მინსკი, ბელარუსია).

2017 წლის 5-9 ივლისს, ქალაქ მინსკში, ბელარუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჩატარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი „ევრაზიული ბიომრავალფეროვნება“, რომელსაც ოცდახუთი ქვეყნის ცნობილი მეცნიერები ესწრებოდნენ. მათ შორის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნირებათა აკადემიიდან აკადემიკოსი, პროფესორი რეზო ჯაბნიძე.

აკადემიკოსმა რეზო ჯაბნიძემ წაიკითხა მოხსენება -„საქართველოში ინტროდუცირებული ციტრუსოვანთა კულტურების ზრდისა და მსხმოიარობის ასაკობრივი პირობები და განვითარების თავისებურებები“, რომელსაც დიდი მოწონება ხვდა წილად და აზრთა აქტიური გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. მოხსენებით გამოსვლამდე უდიდესი კეთილგანწყობით მიიღეს მისი მისასალმებელი სიტყვაც, რომელშიც მან განსაკუთრებული პატივისცემით მიმართა მასპინძელი ქვეყნის წამომადგენლებს, ხაზგასმით აღნიშნა რა საქართველოსა და ბელარუსიის ტრადიციული სიახლოვე, თანამშრომლობა და მეგობრობა. აღინიშნა აგრეთვე, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და ბელარუსიის ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიებს შორის გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელსაც ხელი მოეწერა ქ. თბილისში, ბელარუსიის პრეზიდენტის ალექსანდრე ლუკაშენკოს საქართველოში ვიზიტის დროს. თანამშრომლობა დღესაც წარმატებით მიმდინარეობს.

აკადემიკოსი რეზო ჯაბნიძე ხელმძღვანელობდა მემცენარეობის სექციას, რომლის თანახელმძღვანელები იყვნენ ცნობილი მეცნიერები ინდოეთიდან და აზერბაიჯანიდან. სექციებში იხილებოდა გლობალური დათბობისა და მცენარეული სამყაროს, ეკოლოგიის, სატყეო მეურნეობის, მცენარეთა გენეტიკის, სელექციის, ჯიშთა გამოცდის, მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის, მცენარეთა კარანტინის საკითხები. სიმპოზიუმზე აღინიშნა სექციის აქტიური და წარმატებული მუშაობა და მის მონაწილეებს სპეციალური სერტიფიკატები გადაეცათ. დასასრულს ითქვა, რომ მომავალ წელს ამგვარი სიმპოზიუმი უკრაინაში გაიმართება, ხოლო 2019 წელს კი საქართველოში.

სიმპოზიუმის მონაწილეები: მარჯვნიდან - ესპანეთის ქ. ბარსელონას აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი ანტონიო ვალვერდე; აკადემიკოსი რეზო ჯაბნიძე, ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი პროფ. ვლადიმერ ვასილევი, იტალიის ბიომრავალფეროვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე პროფ. ალფონსო გალვანი.

მრგვალი მაგიდა - „განათლება-კვლევა-ინოვაციები“

2017 წლის 10 ივლისს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების და სასოფლო-სამეურნეო მელიორაციის მიმართულების კოორდინატორის ჯგუფის ინიციატივით საერთაშორისო პროექტის „#135 – აკადემიური თანამშრომლობა შესაძლებლობების გაზრდისათვის გარემოსდაცვით სწავლებაში (ACCES)“ ფარგლებში, ჩატარდა მრგვალი მაგიდა თემაზე: „განათლება-კვლევა-ინოვაციები“.

აღნიშნულ ღონისძიებაში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან მონაწილეობდნენ აკადემიკოსები რ. მახარობლიძე და ე. შაფაქიძე, სწავლული მდივნები, დოქტორები მ. ბარვენაშვილი და რ. ლოლიშვილი, წამყვანი სპეციალისტები ლ. ჩაიკა და ი. ჭყოიძე, აგროსაინჟინრო მიმართულების კოორდინატორთა ჯგუფის წევრი პროფ. ო. ქარჩავა, სასოფლო-სამეურნეო მელიორაციის მიმართულების კოორდინატორის ჯგუფის წევრები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლები: პროფ. ი.ყრუაშვილი, პროფ. დ. გუბელაძე, პროფ. თ.

ოდილავაძე, პროფ. ი. ინაშვილი, პროფ. კ. ბზიავა და პროფ. ა. დავითაშვილი. მოწვეული სტუმრები: ქ. ვენის ბუნებრივი რესურსებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების უნივერსიტეტის (BOKU) წარმომადგენლები: პროფ. მ. ჰიმელბაუერი, პროფ. რ. მიხელეკი, პროფ. ვ . ლოისკანდლი. მრგვალ მაგიდაზე ძირითადი მოხსენება გააკეთა პროფ. მ. ჰიმელბაუერმა თემაზე - „„მწვანე ტექნოლოგიები“, რომლის ფარგლებში მან ხაზი გაუსვა გარემოსდაცვითი სწავლების მნიშვნელობას, სწავლების ახალი ფორმებისა და მიდგომების დანერგვის აუცილებლობას.

პროფ. რ. მიხეალიკმა დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია ელექტრონული სწავლების (MOODLE) დანერგვის მნიშვნელობაზე და ამ მიმართულებით ქ. ვენის ბუნებრივი რესურსებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების უნივერსიტეტის (BOKU)გამოცდილებაზე.

მრგვალი მაგიდის წევრებმა მიიღეს ფადაწყვეტილება, რომ სამეცნიერო თემების გარდა მნიშვნელოვანია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ გარკვეული ყურადღება გაამახვილოს აგრარული განათლების საგანმანათლებლო პროგრამებზე. ამ მიმართულებით მისაბაძია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის თანამშრომლობა აკადემიასთან და ის დიდი მონდომება, რომელსაც ფაკულტეტის დეკანი პროფ. გ. ქვარცხავა და დეპარტამენტის უფროსი პროფ. კ. ყრუაშვილი იჩენენ.

მრგვალ მაგიდაზე გადაწყდა აგრეთვე, რომ საერთაშორისო პროექტზე „#135 – აკადემიური თანამშრომლობა შესაძლებლობების გაზრდისათვის გარემოსდაცვით სწავლებაში (ACCES)“, დისკუსიები სსმმ აკადემიაში ჩატარდეს რეგულარულად.

საერთაშორისო თანამშრომლობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან თხილის მრეწველობის საკითხებზე

2017 წლის 9 აგვისტოს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ა.შ.შ.-ის ორეგონის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები: პროფ. შონ მეჰლენბაჩერი, იაკონ სნელინგი, ჯასტინ ლომბარდინი (რუტგერის უნივერსიტეტი), ჯორჯ მორი (თხილის მწარმოებელი ფერმერი, ჩილე) ვიქტორია ლირა (თხილის მწარმოებელი ფერმერი, ჩილე), ქართველი მეცნიერები: ხათუნა ახალაია, ნანამიროტაძე, მაია მიროტაძე. შეხვედრის მიზანი იყო თხილის მრეწველობის

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი
გ. ალექსიძე და პროფ. შონ მეჰლენბაჩერი

მიმართულებით ერთობლივი სამომავლო გეგმების დასახვა, არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება და დარგის სტრატეგიის შემუშავება. აკადემიის მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ: აკადემიის პრეზიდენტი აკად. გურამ ალექსიძე, ვიცე-პრეზიდენტი აკად. გივი ჯაფარიძე, აკად. იუზა ვასაძე, პრეზიდენტის მოადგილე დოქტ. ანატოლი გიორგაძე, სწავლული მდივნები - მარინე ბარვენაშვილი და რევაზ ლოლიშვილი, პრეზიდენტის თანაშემწე თინათინ ეპიტაშვილი.

შეხვედრის ბოლოს მხარეები შეთანხმდნენ გააგრძელონ ერთობლივი სამუშაოები თხილის მოვლა - მოყვანის პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვაზე საქართველოს პირობებში. სტუმრები აგრძელებენ გაცნობით მოგზაურობას არსებული მდგომარეობის შესასწავლად კახეთსა და სამეგრელოში.

სტუმრები ჩინეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან

2017 წლის 06 სექტემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდნენ ჩინეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი ვუ კონგმინგი, ამავე აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი, პროფესორი ქალბატონი ჩანგ ჰუიჯი და ჩინეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, FAO-ს კოორდინატორი ჩინეთში, ბატონი ლიუ შონგვეი.

ვიზიტის მიზანი იყო თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება ჩინეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას შორის. აკადემიიდან შეხვედრას ესწრებოდნენ სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს-მდივნები, აკადემიკოსები გ.მარგველაშვილი, რ. მახარობლიძე, ჯ. გუგუშვილი და ნ. ბაღათურია, აკადემიკოსები ე. შაფაქიძე, ნ. ჩხარტიშვილი, თ. ყურაშვილი, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, დოქტ. ა. გიორგაძე, სწავლული მდივნები დოქტორები მ. ბარვენაშვილი და რ. ლოლიშვილი, პრეზიდენტის თანაშემწე საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში თ. ეპიტაშვილი, აკადემიის მთავარი სპეციალისტი გ. მოსაშვილი, წამყვანი სპეციალისტები ც. თეგეტაშვილი და მ. მოსაშვილი.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გ. ალექსიძემ. აღინიშნა, რომ ჩინეთის სმმ აკადემიასთან საქართველოს სმმ აკადემიას ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ ხელმოწერილი აქვს 2009 წლიდან, მაგრამ სოფლის მეურნეობის მართვის თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების გაუმჯობესებამ და მსოფლიოში რესურსდამზოგი ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენებამ, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის თანამედროვე რელსებზე გადაყვანის გამო მიზანშეწონილია ახალი ხელშეკრულების გაფორმება. ახალი მემორანდუმით გათვალისწინებულია ერთობლივი ლაბორატორიების ჩამოყალიბება დარგების მიხედვით, სადაც ძირითადად წარიმართება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა მხარეებისათვის საინტერესო მიმართულებებში, როგორიცაა: მარცვლეული და საკვები პროდუქტების წარმოება; ხილის და ბოსტნეულის პროდუქცია; მევენახეობა და მეღვინეობა; მეცხოველეობა, მეაბრეშუმეობა, ვეტერინარია; მცენარეთა მრავალფეროვნება და მათი გაუმჯობესება; სურსათის ხარისხის სტანდარტი და მისი ტესტირება/გამოცდა.

ჩინეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი ვუ კონგ მინგი მიესალმა ორ აკადემიას შორის თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებას და აღნიშნა, რომ მემორანდუმი იქნება საფუძველი, რათა საქართველო გაერთიანდეს გაეროს მიერ განხორციელებულ "სამხრეთის სარტყელის" პროგრამებში, რომელსაც ამჟამად ჩინეთი ხელმძღვანელობს. აღინიშნა აგრეთვე, რომ "სამხრეთის სარტყელის" პროგრამების განხორციელებაში საქართველოს შეუძლია მნიშვნელოვანი ადგილის დაკავება აგრარული მიმართულებების სამეცნიერო პოტენციალის მდიდარი გამოცდილების გამო.

შეხვედრის დასასრულს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გურამ ალექსიძემ და ჩინეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ვუ კონგ მინგმა, ხელი მოაწერეს ორ აკადემიას შორის თანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც ძალაში დარჩება 5 წლის განმავლობაში.

თანამშრომლობის მემორანდუმზე ხელს აწერენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გ. ალექსიძე და ჩინეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი ვუ კონგმინგი.

ტროპიკული ქვეყნების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის პარტნიორთა ასამბლეის მე-5 სხდომა

აღნიშნული ღონისძიება ჩატარდა ლაოსის სახალსო დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში ქ. ვენტიანში, მიმდინარე წლის 20–22 სექტემბერს.

ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო რვა ტროპიკული ქვეყნის, პარტნიორი ქვეყნების, საერთაშორისო ორგანიზაციების, რეგიონული ცენტრების წარმომადგენლებმა, სულ სამოცმა სპეციალისტმა. ასამბლეის ორგანიზატორები იყვნენ სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) და ტროპიკული ქვეყნების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის სამეთვალყურეო საბჭო. სხდომაზე განხილული იქნა ამ ორგანიზაციის მიერ გაწეული მუშაობის შედეგები და ის პროგრესი, რაც მიღწეული იქნა ბოლო წლებში 8 წინასწარ შერჩეულ ტროპიკულ ქვეყანაში (ლაოსი, ბანგლადეში, რუანდა, ეთიოპია, ვენესუელა, გვატემალა და ბურკინა ფასო), რომელიც გამოიხატა სპეციალურად შერჩეულ შეფასების მეთოდით. სხდომაზე განხილული იქნა აგრეთვე, საინფორმაციო სისტემის “ტაპიპედია”-ს მუშაობის შედეგები და მისი გამოყენების პერსპექტივები. ბოლო მესამე დღე მიეძღვნა “მინდვრის დღე”-ს . თათბირის მონაწილეები გაეცნენ ლაოსის ბიოლოგიურ ფერმას, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს ამ ქვეყანაში და მეცხოველეობის თანამედროვე ფერმის მუშაობის ძირითად ასპექტებს.

ასამბლეის მუშაობაში საქართველოდან მონაწილეობა მიიღო აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ, რომელიც ამავდროულად არის ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების აგრარული კვლევის ორგანიზაციების თავმჯდომარე. მისი გამოსვლა მიეძღვნა სწორედ ამ ორგანიზაციის მუშაობის ასპექტებს და TAP-ს გამოცდილების გაზიარებას ამ სექტორში. ბოლო დღეს აჩეული იქნა ახალი პარტნიორთა თავმჯდომარე და ვიცე – თავმჯდომარე. შემდეგი სხდომა გათვალისწინებულია ჩატარდეს სამხრეთ ამერიკაში.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია აზერბაიჯანში

2017 წლის 17-21 სექტემბრს აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „კლიმატური ცვლილებების გავლენა მცენარეთა ბიომრავალფეროვნებაზე“.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 20 ქვეყნის მეცნიერებმა, რომლებიც მცენარეთა ბიომრავალფეროვნების საკითხებზე მუშაობენ. საქართველოდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა რეზო ჯაბნიძემ, რომელიც აგრეთვე თავმჯდომარეობდა სუბტროპიკული მემცენარეობის სექციას. თავის გამოსვლებში ქართველმა მეცნიერმა ყურადღება გაამახვილა სუბტროპიკულ კულტურებზე - იაპონიიდან, ჩინეთიდან, ესპანეთიდან შემოტანილი ციტრუსოვნების ინტროდუქციის, ზრდა-განვითარების, მოვლა-პატრონობის, აკლიმატიზაციისა და ადაპტაციის საკითხებზე. დამსწრეთ გაუზიარა ქართველ მეცნიერთა გამოცდილება.

სუბტროპიკული მემცენარეობის სექციის თავმჯდომარე აკადემიკოსი რეზო ჯაბნიძე, თანათავმჯდომარეები - ინდოეთის ახმედაბადის სუბტროპიკული მეურნეობის ჩაის სელექციის კათედრის დოცენტი ქალბატონი ნაზ ჯინაზ თალალი და აზერბაიჯანის ლენქორანის სუბტროპიკული კულტურების კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე პროფესორი ხუსეინ ჰასანოღლუ ახადოვი.

მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი- 2017

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია
GEORGIAN ACADEMY OF AGRICULTURAL SCIENCES

2017 წლის 24 სექტემბერს ქ. თბილისის რიყის პარკში საზეიმოდ გაიხსნა "მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი -2017". ფესტივალის მონაწილეებს მიესალმა ვიცე-პრემიერი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი - ალექსანდრე ჯეჯელავა; თბილისის მერი დავით ნარმანია; საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გენადი მარგველაშვილი; შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი მანანა მიქაბერიძე.

ფესტივალის სტუმრებმა დაათვალიერეს რიყის პარკში სხვადასხვა სამეცნიერო და საგანამანათლებლო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი საგამოფენო სტენდები და ექსპონატები; სტუმრები ეწვივნენ აგრეთვე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ მოწყობილ გამოფენას, სადაც წარმოდგენილი იყო აკადემიის ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შექმნილი ინტელექტუალური პროდუქცია. მინისტრის გარდა აკადემიის საგამოფენო სტენდები დაათვალიერეს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეებმა ქ. ნატრიაშვილმა, ლ. გიგაურმა და თ. მარსაგიშვილმა,

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წარმომადგენლებმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა აკად. ა. ფრანგიშვილმა, ქუთაისის ა. წერეთლის უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. გ. ღავთაძემ, ფესტივალის სხვა სტუმრებმა - მეცნიერებმა, სტუდენტებმა, სკოლის მოსწავლეებმა და სხვა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ ფესტივალზე წარმოადგინა აკადემიის ნამდვილი წევრების და წევრ-კორესპონდენტების მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები და აგრარული მიმართულებების პრაქტიკული ხასიათის ოთხმოცამდე რეკომენდაცია, რომელიც შექმნილია 2013 წლიდან დღემდე. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო აგრეთვე აკადემიის 2012-2016 წლების ანგარიშები, აკადემიაში 2013-2016 წლებში ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებულები, მარცვლეული კულტურების, მევენახეობა-მეღვინეობის, მეაბრეშუმეობის და მეცხოველეობის დარგის ექსპონატები, ფესტივალის და აკადემიის ბანერები.

სტუმრებს მასპინძლობას უწევდნენ და აკადემიის შესახებ ახსნა-განმარტებას აძლევდნენ აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკად. ე. შაფაქიძე, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, დოქტ. ა. გიორგაძე, აკადემიის პრეზიდენტის თანაშემწე საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში თ. ეპიტაშვილი, სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივნები, დოქტორები მ. ბარვენაშვილი და რ. ლოლიშვილი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საგამოფენო სტენდთან. მარცხნიდან მინისტრის მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი, მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა, აკად. ელგუჯა შაფაქიძე, მინისტრის მოადგილე ლია გიგაური.

„მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი 2017“
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით მიმდინარე „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი 2017“-ის ფარგლებში 2017 წლის 28 სექტემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა საჯარო ლექციები ქ. თბილისის 31-ე საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებისათვის.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გურამ ალექსიძემ. მან ხაზგასმით აღნიშნა ამ შეხვედრის მნიშვნელობა და მოსწავლეებს განათლებისა და მეცნიერებისკენ მიმავალ გზებზე ესაუბრა, განსაკუთრებით აღინიშნა აგრარული მეცნიერების როლი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და სტაბილიზაციის მიმართულებით.

საჯარო ლექციების დაწყების წინ აკად. გურამ ალექსიძემ და 31-ე სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა მარინე ნიჟარაძემ ხელი მოაწერეს აკადემიასა და სკოლას შორის თანამშრომლობის მემორანდუმს, სადაც ერთხელ კიდევ ხაზი გაესვა გამოჩენილი მეცნიერებისა და მოსწავლე ახალგაზრდობას შორის აღმზრდელობით, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი კავშირების მნიშვნელობას.

შეხვედრაზე მოსმენილი იქნა საჯარო ლექციები თემებზე:

“მზის სისტემა, გეოგრაფია, ბიომრავალფეროვნება და ადამიანის როლი ბუნების შენარჩუნებაში”, მომხსენებელი აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივანი, დოქტ. რევაზ ლოლიშვილი;

„გლობალური - ეკოლოგიური პრობლემები და ზოგადსაკაცობრიო ბუნების ფილოსოფია ვაჟა ფშაველას შემოქმედებაში“, მომხსენებელი აკადემიის თანამშრომელი, დოქტ. ირინა ბახტაძე.

ლექციებმა მსმენელებში დიდი ინტერესი გამოიწვია - მოსწავლეების მხრიდან იყო მრავალი შეკითხვები, აზრის გაზიარება, გამოსვლები და ლექციების თემატიკის ირგვლივ შეფასებები.

შეხვედრას ესწრებოდნენ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკად. გ. ჯაფარიძე, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკად. ე. შაფაქიძე, პრეზიდენტის მოადგილე დოქტ. ა. გიორგაძე, სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივანი, დოქტ. მ. ბარვენაშვილი, პრეზიდენტის თანაშემწე თ. ეპიტაშვილი, აკადემიის აპარატის თანამშრომელები.

შეხვედრის დასასრულს აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გ. ალექსიძემ მოსწავლეებს საჩუქრად გადასცა აკადემიის მეცნიერების მიერ დამუშავებული მონოგრაფიები და წიგნები, ხოლო საჯარო ლექციების ავტორებმა დოქტ. რ.ლოლიშვილმა და დოქტ. ი. ბახტაძემ კი მოსწავლეებს გადასცეს წაკითხული საჯარო ლექციის დაბეჭდილი ნაშრომები..

თანამშრომლობის მემორანდუმზე ხელს აწერენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გურამ ალექსიძე და ქ. თბილისის 31-ე საჯარო სკოლის დირექტორი, ქალბატონი მარინე ნიჟარაძე.

ჩვენი იუბილიარები

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თამაზ თურმანიძე - 85

2017 წლის 4 სექტემბერს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, თამაზ თურმანიძეს 85 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წლისთავი შეუსრულდა.

ბატონო თამაზ,

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღებს – დაბადებიდან 85 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წლისთავს.

გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

აკადემიკოსი რევაზ ჩაგელიშვილი - 80

2017 წლის 28 აგვისტოს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს,აკადემიკოს რევაზ ჩაგელიშვილს დაბადებიდან 80 და სამეცნიერო_პე დაგოგიური მოღვაწეობის 55 წლისთავი შეუსრულდა.

ბატონო რევაზ,

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს სახე ლითგილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღებს.

გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით სამეცნ იერო,პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას.

მესამე კვარტალში სულ მოსმენილი და განხილული იქნა 9 საკითხი. მათ შორის:
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მე-60 წლისთავისადმი მზადების ღონისძიებათა შესახებ.

***მომხსენებელი*: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე;**

ინფორმაცია რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საკონფერენციო საგრანტო პროექტის "მევენახეობა და მეღვინეობა ევროპის ქვეყნებში ისტორიული ასპექტები და პერსპექტივები" .

მომხსენებელი: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი **გურამ ალექსიძე.**

განხილულ ცალკეულ საკითხებზე, რეკომენდაციებზე სათანადო რეაგირებისათვის ეცნობოდა ზემდგომ ორგანოებს.

გაზეთ "აკადემიის მაცნეს" მთავარი რედაქტორი: *სსმ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსმდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე*

გაზეთ "აკადემიის მაცნეს" მთავარი რედაქტორის მოადგილე: *სსმმ აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ანატოლი გიორგაძე*

გაზეთ "აკადემიის მაცნეს" პასუხისმგებელი მდივანი: *სსმ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, ტექნიკის დოქტორი გივი მოსაშვილი*

"აკადემიის მაცნე" - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ "მოამბის" დამატება. "News of Academy "- addition of a scientific magazine "Moambe" of The Academy of Agricultural Sciences of Georgia.